საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address : www.senaki-sakrebulo.gov.ge

№ 35 **29 მაისი 2024 წელი**

„სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 მარტის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1.

„სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ” სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 მარტის №19 დადგენილებაში(www.matsne.gov.ge, 15 /03/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.108.016298) შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლს დაემატოს „ვ [1] “ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ[1]) უზრუნველყოს „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობა.“

2. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლს დაემატოს „ე[1]“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე[1]) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციებს.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია